



# კ ვ ა ლ კ ი



სალიტერატურა და სამეცნიერო ნახაზებიანი გაზეთი. გამომდის ყოველ კვირა დღეს.

№ 51.


დეკემბერი 12, 1893 წ.

№ 51.

შიჯარსია: — ალექსანდრე ყაზბეგი, — ლაზარი ლექსი, რ. წაჯავახიშვილი. — ბარბარე ავლოვისა თ. ბერბეულიძის ასული (მოკონება) გ. წერეთლისა. — დანტაზია, ლექსი ნარკანისა. — შორიკ შაქაშონი გ. წერეთლისა. — ლექსი დეტუ-მეგრული-სა. — მიცალღებულთა წესის აგება ე-ლისა. — კაკი ის არის, ლექსი საჯავახიშვილისა. — ცხოვრების მოედანი Nihil-ისა. — რიკელის ვაგაკობა პეტრე ჰაველსი. — დიოფი ბიძია თომასი კიკია — შეუძღომის გასწორება. — განტახლებანი.

## ქალექსანდრე ყაზბეგი

ეს ამ თვეს გა-  
დაიცვალა ჩვენი  
დროის საუკეთესო  
მწერალი, ბელეტ-  
რისტი ალექსანდრე ყა-  
ზბეგი. ეს რამდენიმე წე-  
ლიწაღია, რაც ყაზბეგი  
დადუმდა მწერლობის  
ასპარეზზე, მაგრამ ვისაც  
წაუკითხავს მისი სულის  
ამამაღლებელი, გულის  
გომცემი და გონების  
განმანათლებელი თხზუ-  
ლებები, არაფერ იმედს  
არ ჰკარგავდა, რომ ჩვე-  
ნი საქართველოს წარ-  
ჩინებული მოძღვარი კი-  
დეე განიღვიძებდა, მორ-  
ჩებოდა გონების შენე-  
სერელ სენისაგან, რომ  
დამშრალი წყარო მისი  
მოძღვრებისა ხელ-ახლა



ალექსანდრე ყაზბეგი

წარმოდენილიყო ჩე-  
ნდ შთამომებათა ე  
საახლებლად. ეს იმ  
დი აწ ყველას გაგვი-  
ცრუვდა და მით უმე-  
ტესს დაჩაგრულად  
ვგრძნობთ ჩვენს თავს  
ასეთი კაცის საბო-  
ლოვოდ დაკარგვისა-  
თვის. მაგრამ ასეც  
უნდა ყოფილიყო.  
არწივი გალიაში ჩამ-  
წყვდიული ღიბანს  
ვერ გასძლვებს. რაკი  
მას მოაკლდება უფ-  
სკრული ცის კამარა  
სანაფაროთ, მალე  
გაუტყდება გული და  
სისხლის წამონთხევით  
სულს განუტყეებს.  
უბედურია ის ვრი,  
რომელიც თავის უდი-  
დესს ნიჭს შესაფერს  
ნიადაგს ვერ მისცემს

და კლიდან მიწაზე ადრე უქცნება ყველი. ჩვენს  
ედში მყოფმა ერმა, აბა, ჩანარად უნდა დაამთავ-  
რდეს ნორჩი ძლიერი ნერვი აზროვნებისა, რომელიც  
ითხოვს თავისუფალს წმინდა ჰერს, ბერს მზის შუქს  
და დიდს სითბოს. ვანა გარ-შემომდვარი რთელი  
და ზამთრის ქრახლი, რომელიშაიკ მუდამ გახვეულია  
მზის შარავანდელი, ნებას მისცემს, რომ გაახაროს ეს  
ნერვი და ნაყოფი მისი დაამწიფოს?..

ყაზბეგი ჯერ კიდევ მხნე, ძალით საესე ეფე-  
კაცი გადაგველა. მაგრამ რაც მან დაგეიტოვა გო-  
ნების საუნჯეთ, ისიც საქმაოა, რომ მსოფლიოდ  
თაფი მოაგვიანდეს და მედიდურად გვერდით  
ამოუღვავთ დასაფლეთის განათლებულთა ერ-  
თა. ევროპის ლიტერატურაში ბევრი არ არის  
ისეთი ხელოვნური ნაწარმოები, როგორც „ხევის  
ბერი“, „მამის მკვლელი“ და „ელვაჯა“. ასეთი ნიჭი,  
დაგებება, ასეთი კაცი დადიოდა ჩვენ შორის და  
ჩვენ ოგი ვერ ვიცანით. ხშირად მას ლუკმა პურიც  
არ ჰქონია საკმელად. სანამ ცოცხალი და გონებით  
სრული იყო, მას არც ჩვენმეორ თანაგრძნობა ჰქონია  
და არც განკითხვა.

სიოცხლით დაგვიწვიდება  
შრომის ფასება შრომლისა,  
მოკვდება, უნდა ვსუთობთ  
ნიჭი და ძაღვ მშობლისა.  
ეს ჩვენში ხდება. იკითხეთ,  
სხვაგან მომხდარა როდისა?..

აღექსანდრე ყაზბეგი დაგვარგეთ, მაგრამ მან  
განთესა ჩვენში ისეთი თესლი, რომელმაც უნდა გა-  
მოიღოს ჩვენი შთამომავლის გასახლებელი ნაყოფი-  
დაგერჩენია მხოლოდ ნუგეშით, რომ ის ერი, რომე-  
ლიც აღექსანდრე ყაზბეგისთანა შეიღებს ზრდის,  
დაფერფლულ ნაღვერდალს ჰგავს და მის გულში ღვი-  
ვის ნაკვერცხალი. იგი ელის მხოლოდ დროს, რა-

ცა ნაკვერცხალი ისევ დააგვიგვიზღვს დიდს ისტო-  
რიულს ცეცხლს და განათებს სამყაროს. თვით ეს  
ნაკვერცხალი ყაზბეგის შემეცნებით მიმალულია  
ჩვენს მიტეში, სეცა ქართველი ერის გული ჯერ  
ისევ არ გამდრკალა და შერჩენია ძველი ქართვე  
ლური ზნეობა, სიმამაცე და დამოუკიდებლობის  
სიყვარული. ნათქვამია, ბარში რომ ჰქუა დაი-  
კარკება, მთაში უნდა მოძებნათო. თუ ღდეს ბარში  
ზნეობით დაცემულგართ და სიმუხთლეს მოუცავს  
ჩვენი ბუნება, სამაგიეროდ ძველი ქართველი სულ-  
ღვივის თურმე მთაში და იქიდანაც უნდა დაიკრას  
ტაში. ამახ გვიწინაწარმეტყველებს ალექსანდრე  
ყაზბეგი. კურთხეულ იყოს მისი ხსენება.

ლ ა ხ ა რ ი



ათ არ გრცხვენია, ლაჩარო,  
რომ დაგინრა ძირს ქედი?  
რად დაგაკარგავს, ყოველი  
თვით სასოება იმედს

რამ გამოგწოვა ევ სისხლი  
სიმამაცისა მხედროული?  
რისთვის დაგჩემდა ლაჩრობა,  
შეშ, სიმხდალე ბებრული?  
ვიცი, მაგ გულის წყლულებმა  
ყურთა არ გასაგონია;  
მაგრამ ევ სენი ვანა შენ  
უტურნეული გვონია?  
არა, ძმობილო, ნუ გძინავს,  
ქედი დახრილი ამართე,  
წამალი ძებნე წყლულისა,  
ქარს, თვითონ ქირი დამართე.

რ. საგვავბო



ბარბარე ავალივისა თ. ხერხეულიძის ასული  
ოცდახუთა წელაწადა მასის მსახობის  
(მოგონება)



ხალგაზრდა 1867 წელს ტფილისში გაიტა-  
ცა ქართულ მსახობითი თამაშობამ. ხან აქ,  
ხან იქ შეიკრიბებოდა იმათი გუნდი. მომეტე-  
ბული ნაწილი მათ შორის გენწაზიხის კურს-დასრულე-  
ბულები იყვნენ, გონება-განვითარებულნი ბუნების მე-  
ტყველებისა და ისტორიულის წიგნებითა. ასეთს სა-  
ზოგადოებრივი მიმართულებაზე ღიდი გავლენა ჰქო-

ნდა ორს ქართველს მასწავლებელს. იმ დროს  
ლას ენაზე ეცერა ტფილისის ღენწაზიხის ოცდა-  
თველი მასწავლებლის სახელი — ბესარიონ  
კო ლოლობერიძე. სასამოენო იყო იმ დროს  
მოს ოთხიდან შვიდ საათამდის გოლოვინის პე-  
ტზე გამოსვლა. შეხედავდი, რომ ერთი გრო-  
შვიდე და მეექვსე კლასის ღენწაზიხის მოწაფე  
მოსევილენ ერთს პირხმელს და აფრასავით ამარ-  
გმელ-ცხვირა კაცს. გულზე სქალ-დაფენილი მთე-  
წვეერი ბრძნულ გამოხატულობას აძლევდა ამ კაცის  
შეფერემანს უშნო სახესა. მისი პაწია, მაგრამ გო-  
ნიერებით ანთებული თვალეები თითქოს შორს



ებნა და მეტი თანაგრძნობა გამოეწვია ქართულ მსახიობისადმი. ამდროს ღიღ მონაწილეობას იღებდნენ ბილეთების გაყიდვაში და თანაგრძნობას უწყევდნენ ბარბარე ხერხეულიძის ასულს თავ. ვახტანგ გურამიშვილის ოჯახი, დიმიტრი ყიფიანის ოჯახი, ნაცელაოვიანთი და სხვ.

ერთხელ, ეს იყო 1869 წლის გასულს კ. უმიკაშვილმა მიგვიწვია მასთან მე, ნ. ნიკოლაძე და ს. მესხი: ამ საღამოს ახალი ქართული ნათარგმნი კომედიების კითხვა იქნებოდა და თავადის ასულმა ბარბარე ხერხეულიძისამ გთხოვათ მომძინდითო. კ. უმიკაშვილი კი ხერხეულიძის სახლში იღვა თავის ოჯახით და დაახლოებული ნაცნობი იყო ბარბარე ხერხეულიძის სახლობსა. მეტი არ შეიძლება, ისე გვიპა ეს ამბავი, რადგან დიდი თანაგრძნობით შევტყუროდით ბაბო ხერხეულიძის საზოგადოებრივ მოქმედებას. იმდროს ბაბოს სახელი (ასე ეძახდნენ მას) ახალგაზრდაობაში პატივისცემით და აღტაცებით წარმოითქმოდა ხოლმე. მის გარეგანს სილამაზეს და მოხდენილს ტანადობას უდრისა მისი უმანკო სულის სიშვენიერე და გულის მიწილდავი დარბაისლური ყოფა-ქცევა. მახსოვს, შევედით თუ არა მასთან იმ საღამოს, ბაბო ხერხეულიძისა აღერსით მოგვეგება, თითქოს კარგი ხნის ნაცნობი გყოფილიყოთ და ჩიხე მიგვიპატოვა. ამას გარდა ჩვენ მას ეცახდით აღდგომის წითელ კვერცხს, რადგან ეარდისფერ კაბაში უყვარდა სიარული. იმდამეს მასთან სტუმრად იყო ერთი კიდეც მანუ მორჩილი სულ ახალგაზრდა შეავგერებანი მანდილოსანი კ. ლეი—სა. როცა ბაბო ხერხეულიძისა ყოველ ღონისძიებებს ხმარობდა, რომ დარბაისლურად გავერთეთ, კ. ლეი—სა თავ-ჩაქინდრული და წინ სქელ შევთმა წამობურღული იჯდა კრესლოში, თითქოს ჩენნი მისელა არ იამა.

— ქალო, რამ დაგაღონა ეგრე—ჰკითხა ბოლოს ბაბომ კ. ლეი—სა—იღე თავი, ხმა გაგვეცი.

მალე რეპეტიციასაც უნდა შეუდგეთო. კ. ლეი—მ გადისწორა თმები და პუტუქნა ლოკები ალისფრად აუპრიალდა.

— მე დღეს ეგრ ჩამოგყვებით რეპეტიციაში, გუნებაზე არა ვარ.

— როგორ? ახალ-მოსულმა სტუმრებმა ხომ არ შეგაშინეს. გაუღებრა ბაბომ. ესენიც როლების ასაღებათ მოედნეთო უთხრა მას.

— არა, მე მაგათ თან სცენაზე ვერ გამოვალო, შემოგვიბღერა მანდილოსანმა. ღმერთმა იცის, ასე ავი თვალთ რისთვის შემოგვხვდა მე და ნ. ნიკოლაძეს. იმ საღამოს, მართლა რეპეტიცია არ მომხდარა, მაგრამ დრო კი ძალიან მზიარულად გაატარეთ.

ორკვირას შემდეგ მოხდა შენეიერი ქართული წარმოდგენა, რომელზედაც ბაბო ხერხეულიძისამ აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება; წარმოდგენის მერე გაიმართა საღამო: ტანციობა და ლეკუური. ბაბო ხერხეულიძისა, როგორც დიასახლისი და გამამართველი საღამოსი, ცდილობდა ყველა გაემზიარულებინა, ყველას მონაწილეობა მიეღო ტანცაობაში, იცოდა, რომ ჩვენ—მე და ნ. ნიკოლაძე—ვერ ვიყავით მარდი მოტანავე და მით უფრო აგვიხირდა, რომ ვალსი და პოლკა:გვეთამაშნა. მე, რათიკ ექნა, შევიმარე თავი, მაგრამ ნ. ნიკოლაძემ კი ევლარ გაუტუნა ხათრი და აკი დაიწყო ვინღაც მანდილოსანთან ტრიადი ვალსში, ბეგრამ შექნეს სიცილი და ხარხარი. მე მეგონა, თუ მის უტერხო ვალსის თამაშობას დასცილოდენ!... თურმე ნუიტყეთო! ნიკოლაძეს მოკლე პიჯაკი ეცდა და უკან პიჯაკ ქვეთეთრი ცხვირახაოცი ჩაპროწაღებდა... ნიკოლაძე მელე მიხვდა თავის ახირებულ მდგომარეობას, დაანბა ტანცაობას თავი, დაბმანდა საერძელს და აღმდგარა, სანამ საღამო არ გათავდა...

გ. წერეთელი.

ფ ა ნ ტ ა ზ ი ა

(გულწინა ო. ბ—სას)



აბურულს ტყეში მინახავს მთის ნაკადული ანკარა, მორაკით გაღმობსჩქებს ჩხრიალით, ევლარე მიტურავს წყნარ-წყნარა. გორის ძირს ყვავილთ გროვანი კეკლუცად ბანოვანობენ, ხან თავს იმაღლენ რუს პირას,

ზვირთებში ყურყუმალობენ. ყვავილთა გუნდი არ სტირის, მუღამ ლხინი აქეს... სიცილი და მათ უმანკო, ნორჩ ფესვეს მთის წყარო ჰკონის ციე-ციე. ხან შეყვარებულ შმაგსავით აღერსი მოესურვება, სურს ჩანთქას, გული იჯეროს, ტუნებზე დაგბკურება! მათ ზედ დასცქერის ამაყად ტოტებ გაშლილი ძეწნარი,

მის ფესვებს ჩაუღრიღრიღებს  
მითის ნაკადული—მდინარი.

როდესაც კაშკაშა ზეცაზედ  
ლამის გუშავი მოცურავს  
და ოქროს სხივებს მკითხოლოვარედ  
დაბურულს ტყეში ჩაწურავს,—  
მისი სეტყაი სხივები  
ყველით გუნდს მოფენება  
და მინ მომქეფე მდინარეს  
კანდელად ჩაეყულებდა.  
ყველით გროვამი რუს პირას  
გამოკრთის სახე ასულის,  
სეტყაი, მაგრამ მწუხარი,  
ზნობლავი სულის და გულის!  
გინახავით, რას მზე გადხირის,  
თავს გორას ამოაფარებს  
და მთის გადაღმით აღმაცებრ  
სეტყას სხივს გამაპარებს...  
და მის გამოსწორე გორებზე  
ზე აყუდებულს ღრუბლებსა  
გააკაშკაშებს შუქ-მფენად,  
ვით ნაენტ ბაშის ქულებსა  
და, რა მითთ სიო დაპერავს  
ღრუბლები მიმოიძვრება,  
მის მიმოსვლაში ქანდაკად  
ასული გამოიჭრება!..

—მას ჰგავდა იგი ასული,  
რუს პირას მდგარი მღუმარედ  
და ყურს უჯდებდა რუს ბაასს  
მითთ მოჩუხუხებს მწუხარედ!..  
მუნეე ყვეილთა კრებულნი  
სიტურფეს-სინაზეშია  
ერთმანეთს ეცილებიან  
გაკანკულლები წელშია!..  
მაგრამ იმ მწუხარის ასულის  
ნარნარ-ნათელი ეღფერი  
ყველას სიტურფეს დაჩრდილავს,  
ვით ბინდს რიგ რაზედ ეთერი!..  
სურათი ცხვირი... და მაყად  
გადაქედლი წარბები,  
ხუტუკი მხრებზე ფენილი  
და მიზნეილი თვლები!..  
მოზრდილი მკლავით ძეწნარზე  
მიყრდნობილია ასული  
და ამ ქვეყნიურ ჭირ-ვარმით  
აღვზნებულია მის სული!..  
შუქ-მფენად, მაგრამ მწუხარედ  
დასცქერის იგი არესა,  
ქვეყანას, რქმენა დაკარგულს,  
უსასოდ იმედ მწარესა!..  
ერსა უფლება დამარხულს  
გულ-მდღღლად წელში გახრილსა,  
ერსა ძლიერის წინაშე  
ქედ-დახრილს დამონებულსა!  
დასცქერის იგი მღუმარედ,  
აუტკერდება გლახ-გული  
და უიმელო სიმებზედ

მწარედ დაპკენის მის სული:  
თითქოს იტყვის: „ნეტა იმას,  
ვინც უძღურებს გააზნეეებს,  
განუცხოვლებს კვლავ რქმუნებას,  
გულს იმედით აღვცვივებს!  
ნეტა იმას, ვინც პირველად  
იტყვის: ღირსო აწ ცხოვრება...  
კმაოა, კმაოა ესოდენი  
სამარცხენიო უძრავობა!..  
ვისი წრფელი, მძლავრი სულიც  
მბრწყინავ ღამაპარს დაგვისახავს,  
ციურ მადლით აღვზნებული,  
შიგ იღვალს ჩაგვისახავს  
და გვეტყვის, რომ „აჰა, ყრმანო  
უზრეტელი ნეტარიო,  
ვეე არის უმაღლესი  
სიტკობება ნეტარიო!  
და ვინც მას არ მიესწრავის,  
ვინც დარჩება ურწმუნოვო,  
სვედა, ცრემლი, მწუხარება  
მას მოელის უსაზღვროვო.  
ამას იტყვის და მწუხარედ  
ყველით გუნდს დააცქერდება  
და ბროლის დაწვევად კამკამი  
ცის ცვარი გადმოიჭრდება!..  
იმის თვალებში სწერია  
მსოფლიო მწუხარებაი,  
ის არის ჩემი ნუგეში,  
ის არის ნეტარებაი!

კარგია ყველით ელფერი  
სუნი და ბანოვანება,  
ტკბილია წყაროს ღუღუნე,  
ნიაიის და შრიალება,  
ჩირგვის ძირს კურდღლის კუნტრუში,  
და შროშან-შაშვის მღვრიაი,  
ჭალაში ქედნის ღუღუნე,  
ბუტქზე ბუღბუღის სტეცნაი,  
ცაზე ვაწყკლავთა ციმციმი  
თვალთა მიბეჭუტა წერომითა,  
მთიარის კაშკაშა სხივები  
ტყეს ჩაპარული კრთომითა,  
ქალის სინახე... მის მკერდის  
ასელო და დასელო ძვერითა;  
მაგრამ ის სახე ლეთიური,  
ციო მოვლენილო ქვეყნადა  
ურწმუნო გულსა მიფოვებს  
და კვლავ მამრუნებს ქვეყნადა!..  
იმის თვალებში სწერია  
მსოფლიო მწუხარებაი,  
ის არის ჩემი სვებედი,  
ის არის ნეტარებაი!..


ნარქანი

1893 წ. 16 ნოემბერი

სოფ. სართიკალა

### მორიც მაკმაჰონი

**მ**ართ თევზე მეტია, რაც საფრანგეთში გადაიცეალა ოთხმოცდახუთის წლის მოხუცი, მეცხრამეტე საუკუნის საუკეთესო მხედარი, რომელსაც დიდი მონაწილეობა ჰქონდა საფრანგეთის დიდების მოხეტევაში სამხედრო ასპარეზზე. არც ერთს საფრანგეთის მხედართ მთავარს არ მიუძღოდა სამშობლოს წინაშე იმდენი სამხედრო და სამოქალაქო ღვაწლი ამ სამოცდაათის წლის განმელოებაში, როგორც ამ შესანიშნავს მხედარს და მამულისშვილს. იმდროს, როდესაც მთელი საფრანგეთი



მორიც მაკმაჰონი

აღტაცებულს მხიარულებას და დღესასწაულობას ეძლეოდა რუსეთის დაახლოვებით და დეკავშირებით, უცერად საფრანგეთის სამშობლოცაზე მოსწყდა დიდი მცხრალი ფარკელავი და აჰან რამდენიმე დღით გადაფარა მწუხარების ზეწარი საფრანგეთის ერის გრძობას. შეტერდა სამი დღით მხიარულება და ლხინის მაგიერათ თვით მიწვეულმა რუსეთის მხედართა წარმომადგენლებმა სამძიმრით მიუტირეს საფრანგეთს სახელოვანის გმირის დაკარგვა; მათ თავისი ხელით მიიტანეს სამარემდის იმ გმირის ნაშთი. მაგრამ დასაფლავებას შემდეგ ერმა ისევ განაგრძო თავის დღესასწაული რუსეთის პატივსაცემად...

მორიც მაკმაჰონი დაიბადა 1808 წელს სილის კოშკში მდინარის დრეს ნაპირას ძველს ბურგონის მაზრაში. იგი შთამომავლობით იყო ირლანდიის სამეფო გვარისა, სახელად მეთვის ბრიერ-ბორიოულისა, რომელმაც სამასის წლის წინად სახელი განითქვა დანიელების დამარცხებით. ინგლისის კაროლეთის მარია მტუარტის დროს, როდესაც ეს დედო-

ვალი შეიპყრო ელისაბედმა და მოაკლევინა, რომ თვით ასულიყო ინგლისის სამეფო ტახტზე, მაკმაჰონის წინაპართ ირჩიეს საფრანგეთს გადასახლება, ვიდრე დამორჩილებოდნენ თავის საყვარლის დედოფლის მტერსა. ეს გვარი დასახლდა 1691 წელს საფრანგეთში, ლუდოვიკოს XV-მ უბოძა სიგელი საფრანგეთის თვადობისა (მარკიზობისა). მორიც მაკმაჰონი იყო შვილი მარკიზ მაკმაჰონისა, რომელიც ითვლებოდა საფრანგეთის პერად (სახლთუხუცესად). მან გაათავა თუ არა სენსირის უმაღლესი სამხედრო სსსწაულებელი, აფიცრად ჩაირი-

ტა 1837 წელს აფრიკის ჯარში. ბლიდახის ომში ახალგაზდა მაკმაჰონი პირველი შევიდა ტენიახის სიმაგრეში და დაჰკიდეს ამის გულისთვის საუკეთესო სამხედრო ჯილდო, საპატო-ლეგიონის ჯვარი. მაშინ ის მხოლოდ 22 წლისა იყო. ღერძალ აშარმა აიყვანა იგი თავის საკუთარ აღუტანტად. მან ერთხელ მიანდო მაკმაჰონს მძიმე საქმე ბლიდახში საფრანგეთის ჯარის უფროსის გადასაცემად და თან უბძანა: ერთი ესკადრონი მესროლი ჯარისა იახლეო, რომ გზაზე მარცხი არა შეგვმთხვეს რაო, რადგან არაბებში თავს ეცემოდნენ ზოლმე წამსვლელ-წამამსვლელს. ახალგაზდა მხნე აფიცერი მარტოდ-მარტო წაიდა თავის შეწეირ ინგლისის მოღვაწის ცხენზე გულდანი-ლაბლიო. ერთ ვერსზე რომ მიუახლოვდა ბლიდახს, მაკმაჰონმა შენიშნა, რომ არაბის ცხენოსანი ჯარი უპირებდა მას გარშემორტყმას, არაბებმა დაუწყეს სროლა; თოფის ტყვია ერთი მეორეზე მოდიოდა ზუსტით; ბოლოს მათი კიეილ-ჭყვილიც შემოესმა. მაკმაჰონმა მიუშვა სააღეე ცხენსა და მოჰკურტლა.

თვალის დახმამებზე უმალ გავარდა ქარივით ინგლისელი მერანი და შორს მოიტოვა არაბთა მდევარი; მაგრამ უცრად მას წინ დახედა ვანიერი ნაპრალი, ან უნდა გადაშტარიყო, ან ნაპრაღში ჩაიხილიყო, სხვა შეეღა აღასად იყო. მამაცმა მამაპონმა ჰკრა უზანკი და ინგლისური მერანი გადახტა ნაპრაღზე, მაგრამ ცალი ფეხი კი მოიტეხა. მამაპონი უცებ გადახტა ცხენიდან, მისთვის აღარ მოუცლია და ფეხით მოკეტოცხლა. არაბულ ცხენოსანებში მაღოსწრეს, მაგრამ ნაპრაღს ევლარ შეხედდა და უშინეს გაღმადან თოფები... ამ დროს მამაპონი უცებ შორს იყო. ორ საათს შემდეგ დაქანცული მამაცი მხედარი შევიდა საფრანგეთის ბანაკში და გადასცა ჯარის უფროს ლენერლის ქაღალდები. მოიცი მამაპონმა მიიქცია მთელი აფრიკის ჯარების ყურადღება თავისი სიმამაცით, ერთგულებით და დაუღალავი სამხედრო მოქმედებით. მალე მიიღო მან ჯილდოთ პოდპოლკოვნიკობა და ჩააბარეს მთელი პოლკი, უცხოელებისაგან შემდგარი. ის გაემართა საფრანგეთთან ის ჩაჯდა სამხედრო გემში, რომელიც აფრიკას მიიღო; კოლის ნავსადგურს რომ დაუახლოვდა გემი, მამაპონს მოესმა ზარბაზნების გრიალი. მას აღარ მოუცლია გემის ხმელეთზე მიდგომისათვის, შიახტა თავის მარჯვე ცხენს, გადაეშვა ზღვაში და მალე გასტრა კიდზე გააქენა ცხენი მთის აღმართისკენ და შეუერთდა ლენერალს ბარაგე-ვილიეს, რომელსაც აშდროს გაცხარებული ბრძოლა ჰქონდა არაბებთან. ლენერალმა მამაპონი მინაღო მამაპონს ერთი რაზმი. არაბები მალე დამარცხდნენ. მამაპონს აქ აღარ მოუცლია, მამაპონი გაემგზავრა და შეუერთდა თავის სათაოსნო უცხოეთლების პოლკსა. ეს პოლკი რადგან სხვა-დასხვა ტომის მხედრებისაგან იყო შემდგარი, ძალიან ძნელი საპატრონო იყო. სხვა-დასხვა ხასიათის, ზნეჩვეულების და სარემონების კაცები ვერ რიდებოდნენ ერთმანეთში.

ერთხელ მამაპონს თავის პოლკიანა შეხედა ლაშქრობა ერთ სიციხიან უწყალო უდაბნოში. ჯა-

რი დაიღალა და მასთან არაქათი წაერთვა სიციხიან; მტის მეტმა წყურვილმა დრტინევა გამოიწვია ჯარში, ზოგი მათგანი უსულოდ ეცემოდა. შეიქნა ხმამაღლა ყვირილი და ლანძღვა, მეტი სიარული აღარ შეგვიძლიაო. ამ დროს ცხენებმა აცქერეს ყურები და მოართეს კიხეები: წყალი, წყალი! აღობათ წყალი ახლოა, რომ ცხენებმა კიხეები შექნესო. მართლაც ცხენებმა აღლო აიღეს და გაემუტნენ ერთის მხრისკენ. ცხენოსანებმა სადავე მიანებეს და მთელმა ჯარმა ასტეხა თქარა-თქურით კენება. იმათ წინ მალე გამოჩნდა წყარო, მაგრამ-რა?.. სულ ღეშით და მყარალი მძორებით იყო ავსებული. ჯარს რომ ეს წყალი დაეღია, ცხენიან-კაციანა მოიწამლებოდა, აღარაინ კოცხალი აღარ გადაჩნებოდა. მხედრებს ისეთი წყურვილი ჰქონდათ, რომ თუ გინდ დაღვევსათანავე იქვე წაქცეულიყვენ, მაინც არაინ დაერიდებოდა. მამაპონმა ამოიღო ხმალი და გადაღობა ჯარს გზა: არამცა და არამც წყაროს არაინ მიუახლოვდეთო. ჯარი შედგა. აშდროს გამოვარდა რაზმიდან ერთი ჯარის კაცი და ზედ გულზე დაახალა მამაპონს თოფი. ჰოი, საკვირველებავ!.. მამაპონი მაინც ანდრიატივით გაჩერებული იყო. ტყეა აცილდა. ჯარი გამშეცებული შეყრებდა თავის სარდალს. ერთი მისი ხელის დაქენეა საქმარ იყო, რომ ის ბოროტ-მოქმედა მხედარი ათასი თოფის ტყეით განეგმირათ. მაგრამ მამაპონმა დაიძახა: „საწყალი, სიმწყურვლით გაიკიბულია, მავას რალა ციხიბნაო!“ არაფითარი სასჯელი აღარ მოუყენებია. ჯარი ასეთმა გმობამა მტრის-მეტ თავგანწირულებამდე მიიყენა. ის აღარაფერად ავდებდა წყურვილს და სანამ ბინაზე არ მივიდა, ხმა აღარ ამოულა. ასეთმა მოქცევამ მამაპონისამ იმისთანა სიყვარული გამოიწვია ჯარში, რომ მისი გულისთვის ცეცხლში ჩადგებოდა უოველი მისი ჯარის კაცი თვით პატივებული სიკვდილამდის აღარ მოშორებია მამაპონს და ძალზე უერთგულესი მოსამსახურე შეიქნა მამაპონისა.

გ. წიფთელი  
(შემდეგი იქნება)



\*\*\*  
**მ**ოწმენდილს ცაზე ეარსკელაეი ცისკრის სარწინაეს, ჰაჰაჰაჰეს, ცეცხლებრ ენთება; კანთიადის წინ მდებლად თავს იხრის და მზის ამოსვლას ეტრფიალება.

ბაღში ბულბული ნახად სტენს, ჰვალობს, ციურ ხმით ატებობს მთელს ქვეყანას; კოკობ ვარდთ უჭერტს, თრითის და კანკალობს, შეტრფის, შეხსარის მათ გადაშლასა. მაგრამ, ეარსკელაეო, მზის ბრწყინვალეობა შენს მტუტავ სიხიებს უცებ გააქრობს,

და, ბუღბუღო, შენ ეარდთ სუნწელებმა  
ენას დავებამს, ისე დავათრობს!..

\* \* \*

ეგერ პეგელა სწრაფად მიფრინავს,  
სინათლისაკენ მიეშურება,  
სანთლის შუქი მას თვისკენ იზიდავს,  
საბარალო მისი ეშხით ბრმავედება.

აგერ ქაბუჯი, ცეცხლ-მოძებულო,  
იწყვედ ქწილი უწნაურ გრძნობის;  
სატრფოსთან მიბრბის გაშმაგებულო,  
მსურველი მისით სულის დატკობის.

მაგრამ, პეგელაჲ, სანთლისა ალი,  
როგორც-კი მიხვალ, მაშინვე დაწვავს  
და, ქაბუჯო, შენც მაცდური ქალი  
მალე გიმტყუნებს, მოგკლავს, დაგტანჯავს!..

ლუტუ-მეგრელი




### მიცვალებულთა წესის ბუბე:

**ქ**ოველ ერს თავ-თავისი წეს-წყობილება აქვს  
მიცვალებულის დასაფლავების შესახებ. ჯერ  
ენახოთ, რა გვარად ასაფლავებენ მათ განათ-  
ლებულნი ერნი და შემდეგ იმას გიამბობთ, თუ ეე-  
ლური ხალხები როგორ ჩვეულებას მისდევენ. მთელ  
კაცობრიობას სწამს, რომ ადამიანის სულს სიკვდილს  
შემდეგ ისევე ის თვისებები შერჩება, რომელნიც სი-  
ცოცხლეში ჰქონდა; ამიტომაც მართო ტირილს კი  
არ აჯერებენ მიცვალებულს, არამედ  
მისი ცოდვების შესანდობლათ სწირა-  
ვენ ღმერთს მსხვერპლს, რომელიც  
სასარგებლოა სულისთვის და აკმა-  
ყოფილებს საიქიოს მის მოთხოვნი-  
ლებას. იაპონიაში, მაგალითად, XVII  
საუკუნეში მალალი ხარისხის კაცის  
დასაფლავების დროს 20, ანუ 30  
მისი მსახური თავს იკლავდა „hara  
kari“-თ, ესე იგი მუცელს ვაიფა-  
ტრავდა; ისინი სიცოცხლეშივე, ღვი-  
ნის სმის დროს, შჭვთაცადენ ხოლმე  
თავის ბატონს საიქიოს წაყოლას და  
იქ ერთგულათ მსახურებას. ახლა კი,  
ცოცხალი ადამიანის და ოთხფეხების  
მაგიერათ, იაპონელები ჰვლადენ მი-  
წაში ქვის, ანუ თიხის სურათებს.

ჩინეთის ლეგენდებიც ასე გვაუ-  
წყებენ: „ჩინ-იან-გის ძმა, კონფუციუს  
მოწაფე, მოულოდნელად გადაიკვა-  
ლოა; მის მუცელს და მოუტრავს  
უნდოდა მასთან ერთად დავებარბა რა-  
მოდენიმე მსახური, მაგრამ ბრძენმა  
უუბრა, რომ მიცვალებულისთვის უფ-

რო სასიამოვნო მსხვერპლი თვით ცოლი და მოუ-  
რავი იქმნებოდნენ; ამით ეს არ ეკაშნიკათ და მი-  
ცვალებული მარტო დასაფლავეს“. ამაში სჩანს,  
რომ კაცის მსხვერპლი ჩინეთშიდაც იყო შემოღებუ-  
ლი. ქალების თავის მოკლა ქმრების საფლავზე კი  
ახლოც ძალიან გავრცელებულია ჩინეთში. ამას ვარ-  
და იქ მკვდარს თან ვაატანებენ პალანკინს (ხელით  
სატარებელი ეტლის) მატარებლებს და მის წინ კი  
საიქიოს ცხენოსან კაცს ვაგზავნიან მახარობლათ, მა-  
გრამ ახლა კაცებსაც და ცხენებსაც ქაღალდისგან



მიცვალებულთა წესის აგება ზანგებში სამარე, კაცის თავებით მორთული, ბორნეოში



აკეთებენ. აგრეთვე ჩინელები მიცვალებულს თან ჩაბრუნებენ ოქროსა და ვერცხლის ფულს, თუმცა ამ ფულს ბრინჯავან აკეთებენ. ხან-და-ხან ქალაქის ლამაზ სახლებსაც სწვავენ, რომ საიქიას მიცვალებულს საკუთარი სადგომი ჰქონდეს.

მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი ჩეულებია აქეთ ინდოეთში. ცეცხლის თაყვანის მცემელი პარსები არაოდეს არ სწვავენ თავის მიცვალებულს, რადგან ცეცხლის გაუპატიურების ეშინათ. ისინი აშენებენ უზარ-მავარ ქვითკირის უტერო შენობებს და შიგნით, დედა-მეფაზე სდებენ გვამს. სეაეი და ყორანი შექმენ ხორცს, რჩება მარტო ჩონჩხი, რომელსაც მზე ახშობს. განგვის ნაპირს მცხოვრები პარსები კი სხვა ნაირათ იქცევიან: ისინი გახეცვენ სუღარაში მიცვალებულს და წყალთან ახლოს დაასვენებენ; როცა წყალი მოდიდება, წაიღებს იმას და ინდოელებს ჰგონიათ, რომ განგესი პირ-და-პირ ბრამასთან მისავენებს მიცვალებულის სულს; ხოლო ინდოელები ყოველთვის სწვამენ შეცდრებს. სულთმოპობაეს ნათესავები მოუყვანებენ ზოლმე შვე ძროხას, რომელმაც უნდა გადაიყვანოს მიცვალებულის სული ვიატარანის, ანუ სიკვდილის წყაროს მეორე კედლებზე, ისე რომ ინდოელი, სწირად კვდება ძროხის კულში ხელჩაკიდებული. უწინ ინდოელები მიცვალებულთან ერთად სწვავდნენ მის ქვრივსაც.

აქ აფწერთ კოხინზინის მფეე ტინერის დასაფლავებას 1840 წელს. გვაში როცა კუბოში ჩადეს, თან ჩაატანეს გვირგვინი, ტანთ-საცმელი, ფული, სამკაულები და საქმელ-სასმელი. გამოქვაბულში, სადაც უნდა დასვენებიათ კუბო, შეიყვანეს მისი სოლი, რომელსაც საიქიოს უნდა დაემზადებინა ყოველის ფერი ქმრისათვის. როცა კუბო შეასვენეს გამოქვაბულში და ამოგლისეს კარები, მაშინვე ანთეს ცეცხლი და დაწვეს ყოველფერი, რასაც თავის სიკოცხლში ხმარობდა მფეე, მაკლითად: ჭარბაკი, ჭოღებში, ეტლებში, ცხენებში და იარაღი; აგრეთვე რამდენჯერმე ააშენეს ხის შენი-ერთათ მოწყობილი სასახლეები და წაუკედეს ცეცხლი. ამდენი სიმდიდრე ტუელიათ დაღუბეს; რადგანაც სწვამდათ, რომ ყველა ეს მფეეს დასჭირდებოდა საიქიოს.

ბერძნები დაუზუჯავდნენ თავიანთებს მიცვალებულს და პირში ფულს ხაულებდნენ, რომ ხარონისთვის ესუქმებინა სიკვდილის წყაროზე გადაყვანისთვის. გაბანდნენ გვამს და თეთრი ტანსამოსით მორათაედენ და მერე ან დასაფლავებდნენ, ანუ დასწვამდნენ. აღუქმანდრე მაკედონელის მფეგობარი გეფესტიონი რომ გადაიკვალა, მის დასაწყევათ აღუქმანდრემ დაანთებინა უზარ-მავარი ცეცხლი, რომლის დაანთებაც მას 12 მილიონათ დაუჯდა ირგვლივ ცეცხლს ოთხმოც-და-ხუთი საფეიტი ჰქონდა, სიმაღლე კი 25 საფეიტი.

რომაელები ან სწვავდნენ მიცვალებულებს, ან

გამოულებდნენ შიგნეულებას, სადებდნენ ურნაში (თინის კახაში) და დადებდნენ საფლავზე. ეგვიპტელებს სწვამდათ, რომ სიკვდილს შემდეგ ადამიანის სული სხვა-და-სხვა ცხოველებში გადადისო. ისინი ფიქრობდნენ, რომ როდისმე სული ისევ თავის ტანში დაბრუნდება, ამიტომაც სხვა-და-სხვა წამლებს წაუსვამდნენ გვამს და ქვის კუბოში ჩასვენებდნენ. ფარაონების დასასაფლავებლათ კი უზარ-მავარ შენობებს, პირამიდებს აშენებდნენ. მიცვალებულს შემოუვიდნენ, რომ არ დაბრწინოყო, შამოახევედნენ ქსოვილებს და თან ჩაყოლებდნენ ხორბალს და პაპიროსზე (ლეღის გამხმარ ფოთოლზე) დაწერილ ლოცვებს.

მურგების ევლზე იყო აგებული სპარსეთის მეფის კვიროსის სასაფლაო. ის წარმოადგენდა პირამიდას, რომლის თავზედაც იყო დადგმული ქვის კუბო; იმის გვერდით იღვა ქვისგან გამოჭრილი ფრთხიანი კაცი, რომელიც წარმოადგენდა კვიროსს, ზევით კი ფრინაედა ღმერთი ორმუზდი.

უნიაგეერის წინამძღოლებს ასაფლავებენ ასე: მათ დასმენ ქვის სკამზე, ხელში შეიღდ-ისარს მიცმვენ და წინ ღვინოს დადებდნენ; საფლაოში ჩაყოლებდნენ სამ ქალს, ბოლოს დასტკენიან საფლავს და ზედ ღვინოს დასხმენ.

აფრიკაში ზანგები დასაფლავებდნენ დროს ბოცვენ მიცვალებულის ცოლს და მსახურებს, რომ საიქიოს ემსახურათ.

დაგომეს მეფის დასაფლავებაზე ჰქლავდნენ ათასობით მის ცოლებს, მსახურებს, მომკვლევებს, მხედრებს და სხვ. ამას გარდა ყოველ წლიე მას უჯავანიან მომკითხველებს და ამ გეარად ყოველ წლიე მის საფლავზე სწირავენ ადამიანის მსხერპლს. მაგრამ კიდევ უფრო საზიზღარი ჩეულებია ქონდათ ბორნეოს მცხოვრებლებს: მიცვალებულის ნათესაებში ჩუმით ხედებოდნენ მგზავრებს, ჰქლავდნენ და მათი თავებით თრავდნენ საფლავს.

ჩვენ რომ მოვთვალოთ ყველა ხალხის ჩეულებება, ძალიან დიდი მოთხრობა გამოვიდოდა...

გ-ლისა

ცხოვრების მოკდანი

წაფლიანობა ხარკი  
დღევანდელ ჩვენის ხედისა  
და სიტყობება-ოცნება  
შორეულ სხვა იმებისათ...

(წერილია პირველი)



ავშობიანე დაეტყო ჩემს არსებას ხასიათის რაღაც უტეხი გაბედულობა და სიკოცხლე. მასობეს, ყრმობისას, ცხოვრებული ვაღია ჩემი, რომლის მფარველობასა და მზარუნეელობას ქვეშ

ვიმყოფებოდი, სანამ სასწავლებელში მიმბარებდნენ. ხშირად მომიქნევდა ბროწყელის მოქნილის შოლტს გასალახავად, მაგრამ მე შორს გაუტებოდი, გულ-გასახეთქად, გასაჯერებლად ენას გამოუყოფდი დ შობელი დეინჩემის გულ-მკერდს აღერსით მივებუტებოდი. დედა ჩემს სიცილი წასკვებოდა, კალთაში ჩამიგორებდა, თვალებში ჩამხედავდა და ორივე ლოყებს მხურვალედ დამიკოცნიდა... ყრბობის ტბილი, ოცნებით სახე დღეები სულის თვითთაელუს მოძრაობას და გრძნობის მოზარდს ძალებს სასუფეველის სიწმინდითა და ნეტარებით ასებტაკებდნენ. ჩემთვის ისინი მუღად სამახსოვროცა და სასიამოვნო მოსაგონარნი იქნებანს.

დღესაც ვნებირად აღზრდილი: შეილის მთელი არსება ბუნების უშეწერეებს გასახედ-ვად მოსახედ-დავ აღვიღებზე იყო გადაშეკვდარი, ბუნება მიყვარდა მეტად; დიდი თანაგრძობითა და სიხარულით უღიმოდა მას ჩემი ორთავ თვალთა სინათლე, რადგანაც იმის საოცნებოდ ამწეანებულს წიალსა ესახედი ჩემი სულის ჩამდგმულად და გამახალისებელ მისის ვარდად. მე ვგრძნობდი, პოეტის თქმისა არ იყევს, ჰარის ენა უსასაკოთა და უსუსლოთ შორის“, მიხაროდა, ვარს მერტყა სრული სიამე და ნეტარება და ამიტომაც

„ამ სულს და ამ ტანს,  
ყრელით თან ამტანს,  
ათამაშებდა ძვერითა გული“...

აღმოსავლეთისაკენ ჩემს სოფელს აპყუდებია მაღალი მთა, რომელს იქით, ვადალმა, მიშღაღის საშინლად გიფი, მღელვარე და უზარ-მაზარ კლდეებთან მებრძოლი რიონი. მდინარე ბევრი ევების მოწამე და „თავ-მომწონი ფაზისი“, რომელზედაც გამწარებული მამულის შეილი მთა-ბარს ჩაქითხებს:

გულ-აღლერავით რას ბუტბუტებს,  
ვადასული დროს მოგონი?...  
... გარბის იგი მღელვარე!  
ცრემლით ირწყვის არე-მარე  
და შეზღვესვე შეჭრიალღებს:  
„ჩემი ტანჯვა მიბიარე!“

მე ავიდილი ამ მაღალს მთაზე, საიდანაც მთელი ეკე იმერეთი, ცხენის-წყლის მინდორ-ველი, ახალ-ციხისა და გურიის მთები, შვიი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირი და უმაღლესნი მწვერვალნი დიდის კავკასიის ქედისა პირდაპირ ხელის გულივითა სჩანან. თვალს იტაცებდა დასავლეთი, სადაც დაცემულს, ლურჯად შემოსილს ეკე იმერეთზე ორთქლის მატარებლის კვამლი თოვლის თეთრს გვირგვინს

ასცილებოდა, დილის მზის სხივებს გაკროდა და ჰაერში გაწოლილს ღრუბლად მებუნებოდა. ახლოს, აგერ სამხრეთით, სჩანდა იმერეთის თვალი და შევინება, დიდების მოყვარე პატარძალსავით მორთული, „სავარდა და სამისო“ ქუთისი, რომელსაც იგივე მკოსანი ეკითხება:

„ეინ ყოფილა შენი მავნე,  
გულს ევალი რომ დაგისო?..“

როდის იქნება, იტყოდა ხოლმე ჩემი ოცნება, ამ მთის წვერიდან, სწორედ იქიდან, სადაც ფეხი მედგა, აფერხნდნე და მივიარ მოვიარო ეს მთელი თვალის გადასავლებელი სივრცე ქვეყნის! მოდი, აებტები და, იქნება, მერე ქარის ზვირთმა ამიტეტივოს და წამილოს-მეტიქი, მაგრამ აჰი... ახტომისათანავე ყირამალა გადმოეტრიალდებოდი და დედა-მიწა, მშობელი დღის გვერდით, მაგრად მიმიხუტებდა. გული კი ბედს მაინც არ ჰნებდებოდა და მძლავრად მომშევე ოცნება რაშებ-შებმულს ეტლს წარმოადგენდა, მასში ჯდებოდა და იმ გასაოცარს გასახედ-გადმოსახედვე არე-მარის დასათვლიერებლად დამქროდა. რაშებ-შებმული ეტლით ჰაერში მიმქროლი ყმაწვილის ოცნება ყოვლის-თვის ეგოტნებოდა, ეხვევოდა, დიდი სიმტკიცით აპობდა ჰაერის სიშიმის, ათვლიერებდა ქვეყნის მთა-და-ბარს და უახლოვებოდა იმასაც კი... რომელმაც ასე საოცრად შექმნა მთელი სამყარო და ქეშმარტი შევნიერება. წარმოიდგინეთ, ყმაწვილის გულის უმაღურობა! მე ამ სამყაროსაც და შევნიერებასაც დავთმობდი, ოღონდ კი რაიმე უხილავი და წარმოუდგენელი საოცნებო ძლიერი შთაბეჭდილება განეცადა ჩემს არსებას. დეე, მთერალი და რეტანი კაცით ძრულიყო ზღვა და ხმელეთი, შუაგულ დედა-მიწის საშინელს უფსკრულიდან ტარტაროსს და გველ-ეშაშს საოცხლის მომსპობელი პირი დაელო და საუკუნოდ მოსპობილიყო მთელი სამყარო, — ოღონდ ჩემი სურვილი განხორციელებულიყო, ეს წარმოუდგენელი სანახაობაც ფეთს ზემს მენახა და დემტკარაყვე წუთიერად სრული სიამით და ნეტარებით...

რამდენჯერ ვადამიხედავს იმ მთის წვერიდან რიონისაკენ! თვალ-უწევენილი აღმასის გველი საოცრად იკვანებოდა და მაღალი ხეტით დაბურულს არე-მარეს საშინელი ხმაურობითა და ყვირლით აღვიტებდა. გიფი მდინარის მოთამაშე ზვირთები თვალ-უწევენილ კლდის სიმალიდან უფსკრულში შავს-კლდეთა იატაკს თავ-განწირული ასკვებოდნენ და გალახულ-დაგლეჯილი მღორედ, წყარო-წყარად ამოდოდნენ და სამარიდან ამოდებულს ემ-

სგავსებოდნენ. საცოდანნი!.. რამდენჯერ მომინდომნია თვალით გამეჩხრა იმ კლდის სიმაღლე, რომელიც ასე სასტიკად, შეუბრალებლად სჯიდა მასთან შეკრძებულს მდინარის მღვლეარე ზვირთთა, გამბედაობისა და სიკაცხობის გამოამბატეგლს ზვირთებს, მაგრამ ჩემი ცდა და სურვილი ყოველთვის მიუწვდომელი და ამაო იყო. მე ვგრძნობდი, რომ ის მოძრაობის ზვირთები, რომელიც საოცრად ჰხატავენ მთელს-მისოფლიოს ცხოვრებასა და კაცობრიობის შეუწერვე ბელს ბრძოლას, რაღაც დიდი მონათესავე და მოკავშირენი იყვენ ჩემი. გაცხოველებული, მშფოთვარე სული ჰგვლავდა, გრძნობდა რაღაც უხილავ ძალასა, მეგობრული, მოსიყვარულე თვალები მხედველობას არ აშორებდა ზვირთთა დენასა და სისასტიკით გამწვარებულს კლდეთა შეტაკებას. წარმოუდგენელია აქ ბუნების ძალთა საკვირველად და გასაოცარი ბრძოლა, რომლის სურათის დახატვა არ ძალუძს ჩემს სუსტს კალამს მთელის თავის საცხებითა და შევენებით...

მე ვგრძნობდი, რომ, აი, ის ზვირთი, სწორედ ის ზვირთი, რომელიც მიასკდა კლდის კედლის წვერს, გვირა და ვაიშალი, სიტყვად იყო და ვამბობდი— იგი თვით მე ვარ-მეთქი. დიად, მე ვგრძნობდი მხოლოდ და არ ვიცოდი, რასაკვირველია, მაშინ ნათლად, გამორკვევითა, რომ მოძრაობა, შეგრძობლება, გამწვარებული სიკაცხლე და ცხოვრება ჩემი სიკაცხლე და ცხოვრებაც უნდა ყოფილიყო... მართალია, მე ჩემი თვალთ ვხედავდი, ერთი მხრით, საოცარს თავ-განწირულებას და, მეორე მხრით, კლდის კედლის შავს გულ-ცივობას და ინსტიტუტურად მეც ვგრძნობდი სასტიკი ბრძოლის უსამართლობასა და დაუზოგველობას, მაგრამ ოცნებას მაშინ მაინც ცხოვრება სიამის სოფლად ჰქონდა წარმოდგენილი, სიყვარულისა და მეგობრობის ასპარეზად მენატრებდა და ყველას, სულ ყოველისფერსაც ვთვლიდი ძმად, უმანკო ანგელოსებად, და ამიტომაც მე იმ წაშს მსურდა მხოლოდ იმ ზვირთის ერთს- ნამცეცა წვეთად გადაქცეულიყავ, მის ბედსა და უბედობაში მხურვალე მონაწილეობა მიმელო, მასთან ერთად დაეტაკებოდი ჩემი ჩილი და სუსტი გულ-მყვრდით იმ გაციტებულსა და მელიდურს, ტამდის რომ ცხვირი აუშვერია, მაღალ კლდის კედელს; ბრძოლას შემდეგ, ზვირთივით ავტაფებულყავ და იმ საშინელს, თვალ-უწვდენელ უფსკრულიდან ამოსულს დაჭრილი გულითა და სისხლ-მორთული თვალვებით კვლავ და-მინახა ეს უფული და უგრძობელი, პირ-შავი სამყარო, რომელიც ასე აღუშვრობებლად და გულ-ცი-

ვი სიღინჯით უტკეროდა ამ გეარს უსამართლობასა, საცოდებობას... დიად, უკანასკნელად დამინახა ეს ვაკრიავებული ცივი სამყარო, რომელსაც არ უჩანდა, არც ვაჩინის დღე, არც დასასრული და მე-რი... მშვიდობით.

ერთხელ, აი, ვადაველ, ვადავიარე მთის დაფენილი გომბიერი კალთები და მივადგე მდინარის ნაპირსაც. მაგრამ ძნელია წარმოიდგინოს კაცმა რომის ის საშინელი ღრიალი და ყერილი, რომელიც აყრუებს იქაურს არე-მარეს. ყურთა სმენა აღარ იყო მე გამოაცა ასეთმა სანახაობამ, შევედვ და თვალეზად ვადავიტევი. ბუნების საკვირველმა სანახაობამ ჩემზე იმოქმედა და პირველად შიშში და კანკალი ამივარდა, შემდეგ კი გული დამშვიდდა და კიდევ დიდხანს ვიდექ უტრავად ვასტერებული. ვადია ჩემისაგან ბევრჯერ ვამგონა, რომ ერთს ხანს მდინარეც კი შევდებოა, შუა ღამისას ერთს პირს მიიძინებოა და დაყრუვდებოა. ნეტავი, თუ მართალია, რომ ეს მოღრიალე, უშველგებელი მდინარე, რომელიც ასე საშინლად პირბის თავიქვე და მიაქეს ტყე და ველი, ერთს წუთს მაინც არის, შედგეს და თვალი ძილს მისცეს, დაყრუვდეს?! არა, წარმოუდგენელია ასეთი ამავეი. მაგრამ თუ კი არის და შესაძლებელია, მართალია, ასეთი წამი, ნეტავი მომალა და იმ წაშს აქ ვამაინახ ეს საოცარი წარმოუდგენელი სანახაობაც რომ ენახო-მეთქი...

ხელში ავიღე რიყის ქვა, პრეტელი სუბუქი და ლამაზი. დაუპირდაპირე იგი მდინარის უშველგებლს ზვირთებს და გაეისროლე... გასროლილი ქვა გამაღებელი სისწრაფით რაზმებად მომცურავს ზვირთებს შევეტაკა, შევთამაშა მღვლეარე მდინარის ანკარა წყალს და დაიკარგა... სად გატრა და დაიკარგა? ჩავეყითხე ჩემს თავს. მოულოდნელად ერთმა ფიქრმა თავში გამივლია: ქვასაც; ალბად, თვლი უნდა ჰქონდეს, რომელიც კარვად მიჩვეულა მდინარის ძირიდან, ზედ ამდენი წყალი რომ ვადმოდის, უყუროს მშის სხივებს და ვალაყვარდებულს ცის კანარასა... ოცნებამ კვლავ ფრთები შეიხსა, ცის სიფრცემში დაიწყო ქროლა და ნუვარდობა. ოცნებით ვატაცებულს წინ დამეხატა სულ სხვა გულის წარმტაცი სურათი თავის შევნებით და ნეტარებით... ოჰ, ღმერთო! რა კარგია და დიდებული ბავშვის, ამ პატარა ანგელოსის ოცნება... და დიდებულია იმიტომ, რომ იგი ოცნება არის მიუწვდომელი, სიზმარი...

შინ დაბრუნებული საყვარელს დედას დიდ-ყოფითა და აშბით მოუყვებოდი ჩემს სიამოვნებასა და თავ-გადასავალს და დედაც ჰხარობდა სიკაცხლით

სახესე შეილის საუბრითა. ხოლო გადია ჩემი, ბებერი, კბილებ ჩაცეინული გადია ჩემი კი... საზარლად თვალებს გადმოშიზრიალებდა და ტყინებიანი ურიებითა და მგლის ყუჟილით მაშინებდა. რა უნდოდა ჩემვან

იმ ჩემი ცოდვით საესეს? რა ეცლოდი, თუ ბებერს გადიანქმს „უფროსთა მორჩალებაშა“ და მონებაშა აღზრდა უნდოდა ჩემი და იმითამ მტუქსავდა თავის საშინარი თვალებითა!..

Nihil.



დლიური პიქია თოქანი (\*)

VIII

ავესტო.



ომ შეგებდავ ხოლმე თავადს კირილე ბაგრატიის ძეს ერამეს, მაშინვე ჩვენის უზუტესის პოეტის რაფიელის სიტყვები მომაგონდებოდა ხოლმე, ის სიტყვები, რომლითაც იგი იწყებს იგუარაკს „სპილოს საერისთაოზე“. აი, ის სიტყვებიც:

„სპილო იჯდა ერისთავად  
ერთს უდაბურს ტყეში,  
კამბერ კატად მოჩანდა  
იმასთან სისქეში;  
ჭუქაზე კი სუსტი იყო  
ამოდენა ლეში“...

ერთი ჩრაღაც ახმახა, ერთი რაღაც ოტროველა კაცია ჩენი თავადი კირილე; დიად, არის, რადგანაც ჯერედ კიდევ სტკებოდა სიკაცხლითა. ამდენა კაცს, სპილოს სისქეს და აქლემზე უმაღლესს სულ სამი მისხალი ტინი არ მოგპოვებოდა და სამს მისხალს ტინიში სწორედ მისხალ ნახევარი ჭკუა თუ აქეს. მართალია დიდის გვარის კაცი კი გახლავთ, მაგრამ ჭკუით იზომება კაცი და არა გვარიშვილობითა, ე. ი. ჩვენ ეზომავთ ასრე, თორემ ცხოვრება უკულმა მოქმედობს, იგი ჩვენ ზომავს არ დასდევს: ლეშს თავში აყენებს და ჭკუას შვიარში ახევს.

თავად კირილეს გვარი დიდი ხანია, რაც ჩამოთესდა და საქართველოში; გვართა ისტორია ჩვენის ქვეყნისა, როგორც მასობს, ამბობს, რომ ერამენი მებუთმეტე საუკუნეში გიწვევიან და შეადა-უკულმა ის დღე, როცა ისინი გვეწვიენ. მაინც შეადა-უკულმა დრო იყო ჩვენთვის ეს და შემდეგი საუკუნეები. ამ გვარეულობამ არ აჩენა ჩვენს ქვეყანას ერთი „მოზანი“ დღე, არ მოასვენა არც ხალხი და არც მიყვნი; მსურდა მოთრეული გაბატონებულყოფა. და

(\* შეიდი თავი ამ „დლიურისა“ სხვა დროს დაიბეჭდა გახუთ ივირიაში; ყველა თავი შეიცავს ცალკე ამბავს, ანუ სურათს რომლისაზე მოქმედის პირისა, რომლისაზე მოვლენისას ასე რომ „დლიურის“ თავებს ერთმანეთს შორის კავშირი არ აქვთ.

ავტორი.

შინაურები გადებეწენა, მაგრამ დრო-კამმა ჯავრი ამოიყარა ამ გულ ლეარძლიანს გვარზე და თვისი დალი დაასევა; ზოგიერთებს თუმცა ძველი ახოვანება შერჩათ, როგორც ჩვენს კირილეს, მაგრამ ჭკუით კი დაწინდენ, დაწვილიმანდენ. მალე მოვა ის დრო, რომ სრულიად აღიგებებიან პირისაგან ქვეყნისა, როგორც მტყვერი, რომელ აღგავის ქარმან პირისაგან ყოვლისა ქვეყნისა“.

კირილეს, როგორც დიდის გვარისა და ოჯახისშვილს, დაუწყეს ზრდა სამხედრო სამსახურისათვის. თუმცა ჭკუის ნატამალი არ ეტყობა, მაგრამ ძველებური ფეხი-ფეხი კი მისდავამს, ყვირის, მუდამ ფეხებს აბრაზუნებს. დღეს ის დიდი კაცია, უფროსობს; რაკი არ იცის, როგორ იუფროსოს, მუდამ ყვირის, ღრიალებს, ჰკონია ამითი გაკეთდება საქმეო. უნდა მოგახსენოთ, რომ წინინაც თავის შესაფერისი ოტროველა შეგებდა, მაგრამ ჭკუით კი თვისზედ მაღალი. მთს ბრწყინვალეობათა შეილები უხვად დაეხვათ. ღმერთო, შევცოდე და მომხრტივე! ხალხში ხმა იყო, რომ წინინას ერთი მელაკულა კაცი უკუარდა და... მაგრამ ხალხა რას არ იტყვის, სიტყვას ხომ ბაჟი არ ადებს... კარგი კი იქნება, ენასაც დაზბავდეს ვინმე, რომ წარა-მარა არ იტკიკოკოს.

— ჩვენ, ჩემო კირილე, უბოზა ერთხელ წინინა სემირაშიდამ. ასე ცხოვრება არას გვარგებს, მელაკულა შინაური კაცია, ყველაფერი საქმეები მაგას მიეანდოთ; ნახევარი იმას და ნახევარი ჩვენ. შენი სახელით ის ზურგს მოიმარგებს და ცდა და გამსჯელობა იმისი იქნება. სიბას ქვიდან წვეწს გააღენს, ისეთი ვინმეა.

— სიბს ქვას მე კი ვერ გავაღენ თუ წვენსა?.. სხვა რამე მითხარა, თორემ მაკისთანები მე მომკითხე, ვინის კაცმა მტეტი რა ვიცი. რომ დაევიყვირებ, ცას ზანზარს დაეაწყვინიებ ხოლმე.

— ამდენს შეილებს, სახლს, სახლ-კარს შენახვა უნდა თუ არა? კაცს ხელ-პირი თაფლში ეყოს და არ გაილოკოს!?

რას გაცხარებულ ხარ, კირილე უთხარა ბიძინამ, რომელიც ამ ყვირილის დროს შემოვიდა კირილეს-

თან და რომელიც მუდამ დასცინოდა მას და მისი სისულელით ერთობოდა ხოლმე.

— როგორ რას არ გავცხარებულვარ! (უნდა მოგახსენო, რომ კირილე მუდამ რუსულად ლაპარაკობს, თუმცა მწყარად ეუბნება ამ ენასთანაც), მე თუ არ მისწავლია, მე შენ მოგახსენო, პურს ვერა ევაბე ურიგო ადვილი მიკავია დღეს ხელში...

— რაც გისწავლია, ის ხომ კარგად იცი და!...

— რატომაც არ უციო, სთქვა წყნით კირილემ

— შენისთანა შალთაი-ბალთაი შიამ ყველამ იცის; მე მივიტოვებ, შენს შვილს საიდან გამოჰყვია იმოდენა კეთა, რომ ნამდვილს გზას დასდგომა; მაგრამ ისევე გადაუბრუნებს...

— ოჰ, ნეტავი ავრე, ჩაუთო სიხარულით კირილემ

— ნუ ინატრებ, ბატონო, მე თქვენში ფარსავი არაინ მინახავს... უფსკრულამდის ვარე უზნო-უკვლოდ და მერე გადაცივდებით. . არ გავგიგონია ფსალმუნის სიტყვები: „ხნარცი სთხარა და აღმოჰკვეთა იგი და შთაჲარღეს მოხრებლსა მას, რომელიცა აღმოჰკვეთა“...

— ნეტა რას ამბობ, კაცო? მე მავისი არა; მე მისი რა

— მდებოთ გეტყვი: ორმოს სიხრი და შენგავე ამოთხრილს ორმოში ოდესმე შენვე შთაჲარღე ბი... შენი მეგობარი მელა-კულა და შენ ერთად ჩახვალთ იმ ორმოში... არა, სოლომონ, სწორად არ ვამბობ. შვიცა ბიძინამ მელა-კულას, რომელსაც ნათლობის სახელი სოლომონი ერქვა, მაგრამ ხალხს მელა-კულა დაერქვა. კირილეს სახლში კი „იჩით“ იხსენიებდნენ მელა-კულასა.

— სოლომონ გასპარის, დაბანდით სოლომონ გასპარის, ყუა ინებეთ! სოლომონ გასპარის, რად დაგვიფიწყეთ!

— ეა, კნიაზჯან რომელ ორმოს ბძანებთ! ჩავალთ რომელია! მე კნიაზ კირილე ცოცხალი მყენდეს და ჩველით კი არა, ამოვალთ, დაიწყო სოლომონმა თავმოწონებით და ცალი ხელიდან, მხოლოდ ცალი ხელიდან თათმანი წაიძრო და მოკლე უღელაშებს ცაქუნე და კენეტა დაუწყო

— ჰო და! კიდევ იმიტომ ჩახვალთ, რომ ორთავენი უკრ ცოცხალნი ხართ. ახლა რომ დაიბოცნეთ, შენც და კირილეს ძალიან კარგს იხამდით...

ჩანაირი ხუმრობა იყო, ბიძინავ; სულ ვთხოვ, ჩემ სახლში ნუ გაივლი მეთქი, მაგრამ არა მეშველარა. როდემდის უნდა იყო ვერე ტუტუცი, სთქვა წყნით კირილემ.

— ერთი ჯერ ლაპარაკი გამათავებინე და შენ რე გაჯავრდით შენც და ეს შენი სოლომონია... ცხლა ორთავენი რომ დაიბოცნეთ-მეთქი ძალიან კარგს იზამთ იმიტომ, რომ რაც უხერობა ჩაიდინეთ ესეც საკმარისია, თორემ ასე რუმ იართო, ქვეყანას ბოროტებით აფიქებთ.

— კნიაზჯან, რაო, როგორ? გავიცებით იგი ხა სოლომონმა და ცალის თვალით გადახედა კირილეს, რომელიც თან-და-თან ბოლითას სცემდა.

— ჰკვირდები კიდევ, მაგრამ შენ გასაკვირვლად მიგაჩნია, როცა ცულ-კაცობაში შეგაშინებენ, რადგანაც სისხლ-ბოროტად გავხდომია მოძმის სისხლის წონჯ; შენთვის დღესასწაულია, როცა შენს ფეხთა წინაშე ღარიბი იკაცება და იხლანება. შენისთანა კაცს გული აღარ აქვს, სიბი ქვა გიღვრით გულის ბულეში. იმ კაცს, რომელსაც ფული ღმერთად გადაუტყვეია და გუნდრუკს უკმეხს და მის მგტი სხვა აზრი აღარა აქვს ქვეყანაზე, როცა ბოროტებას ამხელ, უოცდება ასეთი გამხელა, შენც სოლომონ, ამისთანა კაცების დასს ეკუთვინი.

— ხა, ხა, ხა! რა უცნაური ლაპარაკი იცის ამ ჩვენმა ბიძინამ. შენმა მზემ, ვერ არის. შემოკობილი ასლანა შვილის საფლავი შენეირი ძველითა და ერდის ბურქებითა; შენს საფლავზედაც ისე არ იკვირებენ ბულბულები, როგორც ცხლა იმის საფლავზე ჰკიკიკობენ, აი! თავმოწონებით სთქვა კირილემ.

— ის ბულბულები ქვეყანას ატყობინებენ, რომ აი, აქ, ამ ძვირფასს ძველს ქვემ ქვეყნის მძარცვეი განისტეინებსო, მოდით და ყველამ შეაჩვენეთო.

— ერიპა! შენ რაც გინდა, იმას აღაპარაკებენასა; მეტურტული საითაც უნდა, იქით გამოაბამს ქოთანს ყურსა.

— არა, ეს სოლომონიც რომ ხალხში გავრია და! გუმონ ზურგიით საწერლობაში დაჰქონდა; ამისი ვირი რომ გენახა, სწორედ წისქვილზე დაიქცეოდა ბერის წოწილისაგან; დღე და ღამ ყუთები მოჰქონდა სოფლად, იქიდან ქათამი და ცერცხი. დღეს თათმანსაც აღარ იხდის და ამ ჩვენს დიდს ბატონს კირილეს სახლის კაცად გაუზღია.

— მერე მე რა დამიშვებია! უფლის უბრძანებია: ოფლითა თქვენითა, მოიპოვეო პური თქვენიო. ჩემი ოფლით მომიგია, რაც მაქვს, სულ იმ ჩემს ვირს მოუგია..

— ავი იმიტომ პატევი გყავდა, აი.. იცი, სოლომონ, მოდი, ანდერძი დასტოვე, რომ შენს სიკვდილს შემდეგ იმ ვირს დაადგან ძველი, ჰა?

— როგორი ხუმრობაა, ყმაწვილო, ჩერია კენინა სემირამიდა ლაპარაკში; მე ძალიან მწყინს, ჩემის სახლის მოვლის და შინაურს კაცს ასეთს ავიდნის აყენებენ; პოეტულსტა ბიძინა, მოიშალე ასეთი ჩვენი ავღება.

— ერთი გამათავებინე და! ისეთი რამე უნდა გხარა ამ კნიაზს, რომ გველი ენა მუცელში ჩაუარდეს... მე ჩემის ცდით, ნახევრობით შიშობლით, აინაზრობით ფული მიშონია, მაშ დღეს არ ვისაუგებლო? კაცს არ დაეგზავნათ? ისეც ხომ არ ვივლი სოფელ, სოფელ! დღეს მეც კაცი შეკია.

— შეილები არ დამეხოცება, ბიძინა, წლეულს ერთხმად ჩვენს კლუბში „სტარშინაღ“ ამოირჩიეს, ისეთი მიმწეული კაცაა დღეს ჩვენი სოლომონ გასპარიჩი და შენ კი ასე ბიანბრად ზხდი ამისთანა კაცსა.

— ვაი ჩვენს თავს, ვაი ჩვენს დროს, რომ ბუროდი და მოვლანი ამისთანებს დარჩენიან და ყველანი მხარსაც აძლიერენ. საზოგადოებაში ხმა აქვს, „სტარშინაღ“ ირჩევენ? მაგრამ ვასაკირიელი არ არის; მგზავსი მგზავს შობსო, ნათქვამია... მე მგონია, თქვენ გომლით ჭუჭუტსა. ღამე კარგა ყოფნისა.

— პატარა ადრე რომ გენებებინათ გასვლა, ისა სჯობდა, მიაყოლა პასუხად კენინა სემირამიდამ ბიძინას ვასელის დროს... რა მაგ სიტყვის პასუხია და რა ჰქენი სოლომონ გასპარიჩ იმ ექვილინსა, ფული მიეცი? ხომ მამულის გირანტობის ქალღლიც გასუქეთ.

— კენინას მე არ მოუკვებები, ისე დაჭედე ის კნიაზი, რომ წლამდის სულ პაკაუკით ივლის და ნაღები რომ შემოაცდებდა, კიდევ ხელ-ახლად დაეჭედავ და იმისი სულს აქეთი ჩვენ დაგერჩება... ეინც მოხმარება არ იცის ღეთის მოცემული დოვლათისა, უნდა წაერთვას, ცოცხა არ არის.

— რას მიქეიან დაჭედვა, კაცო! სწორედ მითხარი, წყრობით წამოიძახა კირილემ.

— აგვისტენ, ჩემო სოლომონ, თორემ მე მაგ მეცნიერებისა არა მესმის-რა. Я в этой науке мало смысла.

— მმ, მმ! ჩაიღმუცილა სოლომონმა და მოემზადა ლექციის სათქმელად: ვისაც ფული უჭირს, მე მაშინვე კოჭებში შევატყობ ხოლმე; შემოვლენ ჩემს მალაზიაში, ფინიასავით ლატქეს დამოწყებენ; ისე კი, თუ სხვაგან შეგხვდი, ძალდაც არ ჩამოგდებენ; დიად, შემოვლენ; ბეგრის აქეთი-იქით პროწიანს შემდგვ, გამოტყუდება, რომ ფული უნდა; მე ისე მოვიკატუნებ თავსა, შეგეცოდები მაშინ რომ დამინახო. კნიაზჯან

ვეტყვი, როცა დაეტყობ, რომ ბადეში გავაბი; გომონი, თუ ოცს თუმანში ოცს მამცემ...

— ქა, ვე როგორ იქნება? ახლა ახალი კანონი გამოვიდა.

— ჩემო კენინავ, თქვენ დარდი ნუ გაქეთ! ახლანდელს კანონს იმერულ ფაქტასავით ათასი ჯუჯრუტანა აქვს. ათს თუმანს რომ მივცემ ოცს დაეწერ და ხელს მოვაწერინებ; აქ ახალი კი არა ოცჯელ ახალი რომ იყოს, უფროს ვიხმამს.. ის კნიაზიც ასე გავაბი... ეს გავათავო... კნიაზ, კირილე! ოცი საყენი შეშა დაეღვი თქენი ბრძანებითა, ეს ოცი ორმოცად ჩაეგდოთ; საყენი ოთხ თუმანად ვიანგარიშოთ; ოთხმოცი თუმანი მეტი გამოიწერება; ნახევარი თქვენ, ნახევარი მე.

— რას ამბობ? მე სამოცი თუმანი და შენ ოცი. მეტი რა გინდა, თორემ ხომ იცი, გროშაღ არ მოგცემ, თუ მოვიწინებ, უთხარ თვალების გადატრიალებით კირილემ.

— რათ იცი, კაცო, შენ ასეთი უჯიათობა სოლომონისა; ამისით ეჭამთ ლუკმასა; ასეთი მოხერხებული კაცი რომ არ გაგეჩენოდა, სად გეჭებოდა ამოდენა გამოჩენა.

— კენინავ, ახლა სხვა თქვი და!... თქვენ სულ სამასი თუმანი არა გაქეთ ჯამაგირი; ოთხასიც სხვა ჩვენგან მივაქეთ, ახლა ისე სხვა პატივისცემა, ახლა კიდევ სხვა; თევში სულ ცოტა, სულ ცოტა ოთხმოცი თუმანი შემოვლენ ჯამაგირიან-მოგებინადა. ნუ ჩაეგდებთ მამულის შემოსავალს, პურს, ღვინოს, რომელსაც სულ თქვენ არ ყიდულობთ.

— მაგრამ ფრთხილად კი, თორემ ნათქვამია წყლის კოკა წყალზე გატყუებაო. არსად წამეტვრეთ, თორემ ციპირი აქეთ დაგერჩებათ, სთქვა ღიმილით სემირამიდამ და ვითომ ხუმრობაში გაატარა...

— Энта мы сами знаем, სთქვა სოლომონა და „ზოლოტამუ ცეპოკუმზე“ ხელი ჩამოისხვა.

დიდ ხალხ იტენეს ჯიბეები ორმა მეგობარმა, მაგრამ „ეს წუთისოფელი, მწარ სამყოფელი, არ ვის დანიღობს, არ ვის გაიტანს“, პოეტის თქმის არ იყოს. სემირამიდას წინასწარმეტყველობაც შესრულდა: წყლის კოკა წყალზე გატყდა. სოლომონს მუდამ ელარ გაუვიდა ზრიცები, „მაშენიკობაში“ დაიჭირეს და რაც რამ ებადა დაე-დარაბას გადატანა, „ეირის ანანოში“ სული ამოართვეს და უწინდებულ ყოფაში ჩაეგდეს; სოლომონს თავისი თვისი ნაამკარი ვიჩი აგონდებოდა და კირილეს თვისი გემრევილი ლუკმა და თვეში ოთხმოცო თუმანი. შიშველნი გა-

მოვიდენ ამ ქვეყანაზე, შიშველნივე მიიქცენ და თან გააყოლეს წყევა კრულა და შჩენენბა ხალხისა. მაინც რითი გათვდა ამ ორთა შგვობართა სხოერებაო? რითხაეს მკითხველი: სოლომანი სულ ციხე-ციხე ატარეს, ე. ი. საპრობილეში დალაქეს, კნიაზს კი არილეს ადგილი ჩამოართვეს და ესე აბილით გაიყვანესო. „აბიდას“ ვინ ჩივის, ქონებიდან გასდკა და ნებიერად სხოერებას დაჩეული ხალხში აღარ გამოდიოდა, ითაკილა და ნელ-ნელა სანთელივით დადნა და მარტოდ-მარტო, კოლშვილისაგან თავ-მინებებული ამო-უვიდა სული.

რაჭველის ვაჭკაცობა  
(ამბავი)

**1**ვე ლილო-ლილო მოვდიოდით ოც-და-ოთხი რაჭველი ტლიფონა მინდორზე, — ასე დაუწყო რაჭველმა იმერელს თავის თავ-გადასავალი, — ქვე წამოგვებურა თავზე ორი ლეკი ნისლი-ვითა, ქვე მოგვირთეს და მოგვყარეს თოფები ჩოკაკალივითა ნინიკი მოგვიკლეს, გოგონიკი მოგვიკლეს, მხახიკოს ბარკალში გვიკრეს.

— ბიჭო, ქე მაინც ცხენი არ გყავდათ, რომ გაქცეოდით? — შეეკითხა რაჭველს მოთმინებიდან გამოსული იმერელი.

— ქვე სხელვბაც ჩევიდა იმათ ქვეყანაში და ხურბბაც!

— სხელვბას და ხურბბას კი არ გეკითხები, შე კაცო, ცხენი თუ გყავდათ, ცხენი?

— ცხენი?.. ქვე ფაფარ-თხელა, კულ-გქელა, თავ-კაკუქელა?.. ერთი ქვე გყავდა, მარა ყველა იმას ვეფარეთ და ყველაზედ უწინ ის მოგვიკლეს.

— თოფი არ გქონდათ, რომ თქვენც მიგეყარათ ჩხოკაკალივით?

— თოფი ქვე იყო, მარა ჩვენ სულ ლილო-ლილო მოვდიოდით.

— კაცო, რამ გაგაგიგა? თოფი კი არა, თოფს გეკითხები, თოფს.

— ქვე შიგნით ველა, გარეთ ქებუა, კაცს შე-მაშინებელა?.. ქვე გეკონდა, მარა ქვე ისიც დაგვატრიტეს.

— არც ლეკური გქონდათ?

— ქვე ლეკები იყვენ, განა ოსები კი არ ყოფილან.

— კაცო, ლეკურს\* გეკითხები, ლეკურს.

— ქვე პირ-თხელა, ყო-სქელა, ტარ-კაკუქელა? ქვე გეკონდა, მარა ქვე ისიც დაგვატრიტეს.

— ხანჯალი მაინც არ გქონდათ, ხანჯალი?

— ქვე ხან ხატა ვაფიცეთ და ხან ჯვარი, მარა არაფელი არ გავგივიადა.

— კაცო, ხანჯალი-მეთქი, ხანჯალი?

— ჰო, ქვე აქეთ-იქით პირ-თხელა, წვერ-ვასიქ-სიქებულა? ქვე ისიც გეკონდა, მარა ისიც დაგვატრიტეს.

— თქმა არ უნდა კი ვეცაკები ყოფილხართ, თუ ორმა ლეკმა ოც-და-ოთხი კაცი თხებივით დაგიტრიტეს.

ლეკური იმერეთში ხმალს ჰქეია.

კაცი ის არის

**3**აცი ის არის, ვინც ბოროტების ამოფხერას ცდილობს ძირ-ბუღიანად, მისდამი ერთხელ მინდობილ რასმე გულით აკეთებს იგი ღვთიანად.

სხვისი ჭირი რომ უჩანს მას ჭირად, სხვისი ტანჯეაა მისი წუხილი, ვერ შეუტკლის აზრს თვით უსამართლო იუსტიტიის ქვე-ქუხილი.

კაცი ის არის, ვინც სულმდაბლობას და გულ-მრუდობას უდგას კრიჭაში, უფსკრულისაკენ მლტოლევარე ერსა წინ ხედება, რომ არ შთაცევიდენ ჭაში...

ჰე, ვაშა-ე-შა... ვინც რომ სიმრუდის გასასწორებლად ჰქიმოს ჭაპანი, და სიკდილამდის ამ გვარ გზაზე სელა იყოს იმისი შრომის საგანი.

18 ივლისს

რ. საჯავახოელი

1893 წელს.

### შეცდომის გასწორება

— ქვე დაგვირგვინს, მარა, მომეცა ლეთის წყა-  
ლობა, მეც კი ვაყვარება ვქნისი  
— აბა, რა ვაყვარება? ეთი  
— ქვე ვებრძვი ერთსა და გულის ღირკილო მო-  
ვარტრით; ქვე გვივითი და შევებზე პურის ნაღვრ-  
დალში; მივიმალე შიგ და გარგვალბულ ერთ თუთ-  
ხმეტს პურის ნაღვრით არ მივამია.  
— ერთობ დიდი ვაყვარებ ბრძანებულხარა — მიუ-  
გო და ცინეთი იმერელმა და გაულდა გზას.

კრიტიკული შენიშვნების ავტორი (შენის მოთხოვნის  
პირველის ტალღების\* გარეგნის დროს\*) სამართლიანად  
პიტიხულობს: თ.-ახნაურობა მამადის მტერთან ბრძოლაში  
როგორ ატარებდა დროს, მამადის მტერი იგივე ქრისტეანი  
არ იქნებოდა? რ. როგორ კრიტიკოსი მიმხდარა, „აქ კი  
რეტორული შეცდომაა, რასაკერძოა“. სიტყვის „მამად“  
მაგიერ უნდა იყოს სიტყვა „მარადის“ თ.-ახნ. მარადის მტერ-  
თან ბრძოლაში ატარებდა დროს“...

დღეტე მგერლი

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

პეტრე პავლიძე

\*) იხ. «კვალი» №-80, გვ. 18, სვ. მეორე.

# გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა ნ ი

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახსტებიანი გაზეთი

## „კვალნი“

გამოვა 1894 წელს ყოველ კვირას ერთხელ ერთიდან სამ თანახმდის იმავე პროგრამით

რედაქცია ყოველ-ლონისძიებს ხმარობს გაულმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა. ამ განზრახვით მან დაიბარა პეტერბურლიდან მრავალი სასუეთისა ცინკე ღ სალიტერატურო მოკრილი მხატვრობა.

გაზეთი წლიურად ღირს: გაულზაენვლად შვიდი მანეთი, ხოლო გაგზავნით რვა მანეთი. ნახევარის წლისა გაულზაენვლად სამა მან. და ზოა შუარა, გაგზავნით ოთხი მანეთი სამი თვისა გაულზაენვლად ორი მან. გაგზავნით სამა მან. თითო ნომერი აბახათ

### ხელის მწერა მიიღება

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლის ქართულ სახალხო სამკითხველოში და „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში. ქალაქ გარეშე ხელის მომწერთა უნდა მიიტკენ „კვალის“ რედაქციაში Тифлисъ, Редакция „Квали“, Большая Воловзная № 22, домъ Айвазова.

18

ქართული თეატრი

93

საყვარელო სურათებიანი ყურნალი

კირას, 12 დეკემბერს,

მ. ბ. ალ. მესხიევის და ეთიანის  
მონაწილეობით

## „ქაქილი“ (წელიწადი მეთთე)

ქართულ დრამატულ საზოგადოების დასის მიერ  
წარმოდგენილი იქნება:

# სამეცნიერო

ღრამ. 5 მოკ. რ. ერისთავისა.

გამოვა 1894 წელსაც აგრეთვე ორთვეში ერთხელ  
იმავე პროგრამით, როგორითაც აქამდის  
ხელის მ. მოწერა მიიღება  
ტფილისში „ჯეჯილის“ რედაქციაში (Большая  
Воловзная № 22, домъ Айвазова.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-სნი ვაღლიძეილი-  
სა, ჩერქეზიშვილისა, მინაოვისა, და სხვ. ბ-სნი:  
ანამიძე, ეთიანი, მესხიევი, გუნი და სხვ.  
ადგილების ფასი ჩვეულებრივია  
დასაწყისი 71/2 საათზე

ყურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით,  
ღრამ. 3 მან., ტფილისის გარეშე გაგზავნით 4 მანეთი.  
ცალკე ნომრის ფასი ტფილისში 70 კაპ., ხოლო  
სხვა ქალაქებში — 75 კაპ.  
ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნა-  
ხევარი წლით.